
№1, 2012
დილა
გამოცემის
108-ე
წელი

ლალი ჯაფარაშვილი

ყველას ფურცელი საჩუქარია

იავნანები, ვარდონანები,
თუკი ისწავლე ანა-ბანები,
თავი ანებე აკუნ-ბაკუნებს,
ფეხები განზრახ დაბაკუნე
და მოითხოვე, კანფეტის წილად
გამოგიწერონ ჟურნალი „დილა“!
ნატიფ-ნაჯარგი ანა-ბანები,
რებუსები და გამოცანები...
საოცარ ამბებს, ფერად ნახატებს,
ჭიკჭიკა ლექსებს მოგიფარფატებს...

გულს უხარია, თვალს უხარია, —
ყველა ფურცელი საჩუქარია!
ჰოდა, მოეშვი აკუნ-ბაკუნებს,
ფეხები განზრახ დაბაკუნე
და მოითხოვე, წვენების წილად
გამოგიწერონ ჟურნალი „დილა“!
მოგიგურგურებს, მოგიალერსებს,
გიამბობს ზღაპრებს, გასწავლის ლექსებს,
შემოგიეცავს შალითას ფრთხილად
და სიზმარეთშიც გაგეგება „დილა“.

მხატვარი
ნანა სანაია

ჭია, ჭია, მაპოვნინე...

რუსუდან კუხაშვილი

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

— ჭიამაია და ისიც იცოდე, რომ სახლის გზა ამებნა.

გზაში თუ ნახავ წითელ, შავწინწკლებიან პატარა ხოჭოს, იცოდე, ეს მე ვარ

შენ ხელის ზურგზე უნდა დამისვა, მერე საჩვენებელი თითი მზეს მიუშვი-

რო. მეც ამ თითის წვერზე ავცოცდები, მზისკენ გავიხედავ და ჩემი სახლის

გზას რომ დავინახავ, გავშლი ფრთებს და ფრიიი... — დედიკოსკენ გავფრინ-

დები. აი, შენ კი ამ სიკეთისთვის აუცილებლად რაღაც კარგს იპოვი.

ამიტომაცაა, როცა დაკარგულს მნახავენ ხოლმე, მეუბნებიან: ჭიავ, ჭიავ,

მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ!.. ოღონდ, ერთი თხოვნა მაქვს — ძალი-

ან გთხოვთ, თქვით ხოლმე, რა გაპოვნინოთ, თორემ ხშირად ვერ ვხვდები, რა

გინდათ. მე კი არ მინდა, გაწყენინოთ.

ფრიიი...

თქვენი ჭიამაია!

არც ეს ნახატები და არც აქ მოთხრობილი ამბის გმირების სახელები — ბოლოკა და ყვანჩალა — შენთვის და შენი თანატოლებისთვის ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს, მაგრამ, გარწმუნებთ, ჯერჯერობით... აი, უფროსი თაობა კი ამ უშიშარ და მხიარულ მოგზაურებს კარგად იცნობს: პირველი ქართული საბავშვო კომიქსი სახელწოდებით — „ბოლოკას და ყვანჩალას თავგადასავალი“ — ჟურნალ „დილაში“ იბეჭდებოდა და მკითხველთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა. წარმოიდგინე, „ბოლოკას და ყვანჩალას“ ფან-კლუბიც არსებობს და ამ კომიქსზე შეყვარებულ ადამიანებს ფორუმებზე თემებიც კი აქვთ გახსნილი.

„ლეგენდარული ქართული კომიქსი!!!!!!!!!!“ „აუ, ვგიჟდებოდი, ყვანჩალას ვგულშემატკივრობდი!“ „მეც როგორ მიყვარდა და იმის მეშინოდა, ხმალთევზასი...“ „ავტორბოლა გახსოვთ, ყვანჩალას 100000-ყვავისძალიანი მოტორი...“ — ეს ფრაზები სხვადასხვა ფორუმებიდან ამოვიღეთ.

ახლა, ყველაფერი ნათელი რომ გახდეს, კომიქსის ძველი ვერსიიდან რამდენიმე გვერდს შემოგთავაზებთ. ალბათ შენც გაინტერესებს, ვინ არიან ეს ბოლოკა და ყვანჩალა?!


რა უცნაური პლანეტაა, არავინ არ ჩანს.
ზუუუუ
ყურადღება! მეტეორი!
რაღაც მეცნობა ეს მეტეორი.
ეჰ, ყვანჩალა!
ბრახ!
რაკეტა ამიფეთქდა
ეს ზაუმია ხომ რაკეტა, არა უშავს ეს კარგი გაკვეთილია, ახლა კი ერთად გავწიოთ დე-დამიწისაკენ.
დედამიწისაკენ!
9.8.7.6.5.4.3.2.1.0....
სტარტი...
ვაი, მეტეორების წვიმაში მოვხვდით!
გვეჯახება! დაამუხრუჭე!
ყურადღება!!!
მოსალოდნელია შეჯახება
გვიანღაა!
ჭახ!
გადავრჩით!
ახლა რა გვეშველება?
ჩვენი ძალებით ვერ შევაკეთებთ. უბედურების სიგნალი უნდა გავგზავნოთ.
SOS SOS SOS SOS SOS SOS
ეს ხომალდი ჩვენსას არ ჰგავს!
ჩვენ პლანეტა ხილიანიდან ვართ. რა გაგჭირვებიათ?
ოოო! სერიოზული შეკეთე-ბა სჭირდება. ჩვენი პლანეტა აქვეა, სულ რაღაც 29300010000 კილომეტრზე. იქ შევაკეთოთ!
აი ჩვენი პლანეტაც.
სალამი უცნობ მეგობრებს!
ხვალ თქვენი რაკეტა მზად იქნება!

და აი, სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ: „დილამ“ კომიქსის ავტორთან, მხატვარ გია ლაფაურთან ერთად გადაწყვიტა, თავგადასავლების მოყვარული მოგზაურები ჟურნალის ფურცლებს დაუბრუნოს და „ბოლოკას და ყვანჩალას ახალი თავგადასავალი“ შემოგთავაზოთ.

მომავალ ნომრამდე!

კონკურსი

მათთვის, ვისაც ფანტაზია მოსვენებას არ აძლევს, ვისაც ამბების გამოგონება უყვარს, ვისაც თავში ათასგვარი რითმა უტრიალებს, ვისაც წერას ხატვა ურჩევნია ... მოკლედ, ყველას, ყველას, ყველას!

ჟურნალი „დილა“ კონკურსს აცხადებს! ამ გვერდის მხატვარიცა და ავტორიც შენ და შენი თანატოლები იქნებით. ძალიან გთხოვ, ხელი არ ჩაიქნიო, არ თქვა, წერის ნიჭი არ მაქვს, ან ხატვა არ შემიძლიაო. ამბის გამოგონების ნიჭი ყველას აქვს, ჩვენც ცოტას წაგეშველებით, ვეცდებით, დავალებები სახალისო და საინტერესო იყოს. თუ ძალიან მორცხვი ხარ და სახელისა და გვარის გამხელა არ გინდა, შეგიძლია ფსევდონიმი* მოიგონო.

მხატვარი ციცი ბაღდავაძე

ახლა კი ყველა საქმე გვერდზე გადადე და ამ ნახატს შეხედე: მხატვარმა ციცი ბაღდავაძემ ერთი ჩვეულებრივი, წვიმიანი დღე დახატა, მაგრამ ამ ჩვეულებრივ დღეს თითქოს რაღაც უნდა მოხდეს. შენ გარეშე, მერწმუნე, არაფერი გამოვა. უფლება გაქვს სცენაზე (ამბავში) საინტერესო გმირი შემოიყვანო, ამინდი შეცვალო, ქოლგა ჯადოსნური გახადო, წვიმის წვეთი აალაპარაკო, ან სულაც ფეხსაცმელები დაამეგობრო... მოკლედ მოიმარჯვე კალამი, ფანქარი, თუ გინდა კლავიატურა და შეეცადე, ჩვეულებრივი დღე უჩვეულოდ აქციო.

* *ფსევდონიმი არის გამოგონილი სახელი, რომელსაც იყენებენ მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები და პოლიტიკური მოღვაწეებიც კი. ხშირად ეს გამოგონილი სახელი დევნის ნამდვილ სახელს და გვარს და მის ადგილს იკავებს. ფსევდონიმია ვაჟა ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი), ფიროსმანი (ნიკო ფიროსმანაშვილი)...*

ნაწერების და ნახატების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით მისამართზე — dila1904@yahoo.com ან იქნებ მობრძანდეთ რედაქციაში.
საუკეთესო ნამუშევრები გამოქვეყნდება ჟურნალში და გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან „დილის“ გამოცემებით.



წიკო-მიკოს რეცეპტები მოწყენილ ავადმყოფთათვის

მარიამ წიკლაური

მაშ, ყური მიგდეთ, გთავაზობთ რეცეპტს,
რომელიც კურნავს ჭკვიანს და რეგვენს,
ღარიბს და მდიდარს, მტყუანს და მართალს,
გამხდარს და მსუქანს, მაღალს და დაბალს.
ტრილიონერებს, მილიონერებს,
უმუშევრებს და წილიონერებს:
თუ მოიწყინეთ, აიღეთ გოგრა,
არ დაგავიწყდეთ ნაღების მოხდა.
მოხდილი გოგრა გაჭერით ორად,
ნახევრად მრუდედ, ნახევრად სწორად.
გარშემო ფრთხილად წაუსვით წებო,
ცოტა წიწაკა და ბლომად ერბო.
დაიდეთ თავზე გაუმლებთ რამდენს,
ხალისს შეგმატებთ, უხდება გლანდებს.
როცა მიხვდებით — ტანში გახურებთ,
ნუ შემოიწყობთ თავზე აგურებს.
ჯობს აბაზანა აავსოთ ბორშჩით,
შიგ ჩაწექით და უმალვე მორჩით.
არ ჩაწვეთ ოღონდ ბორშჩში მარტონი,
თავზე მოისხით კოვზით მაწონი.
სამნახევარჯერ წარმოთქვით რიხით:
„ჩქარა მომართვით შემწვარი იხვი!“
გთხოვთ, სახაზავით იზომოთ სიცხე
და თერმომეტრის არ ენდოთ რიცხვებს.
ის ორმოცს ზევით აღარ აჩვენებს,
ბორშჩში კი ოთხმოცს ზევით აწვენენ.
თუკი გაწუხებთ მუცლის ტკივილი,
ხშირად გაღვიძებთ ჭიის ჩივილი,
ჩაყავით ნეკა თითები რძეში
და ამოევლეთ ათქვეფილ კვერცხში.
მერე დასხედით შემწვარ ტაფაზე,
ტაფა შემოდგით ფანჯრის რაფაზე,
ჭიებს დასცხებათ, გამოვლენ გარეთ,
და ინანებენ თქვენს ტანჯვას მწარედ:
ნახავენ, არის ცხოვრება რთული
და გაუსკდებათ უმალვე გული.
როცა ასრულებთ მინორულ გამებს,
თუ გემინებათ და ნაბავთ თვალებს,
მოხარშეთ ერთი ტახტის მუთაქა,
მერე მოასხით ლეღვის მურაბა,

ჩაყავით შიგ ნით მარცხენა ხელი
მარჯვენა ყურზე გაისვით ხემი.
აიღეთ ახლა ნაღეჭი კევი
და შეიხვიეთ სამრიგად ყელი.
გამოფხიზლდებით, მენდეთ, მაშინვე,
მოთენთილობა ვერ შეგაშინებთ.
სხვაც ბევრი ვიცი კარგი რეცეპტი,
საგულდაგულოდ თქვენთვის ვეძებდი,
მაგრამ ჯობია, იყოთ ჯანმრთელი,
წამლით არ გქონდეთ სავსე ჩანთები.
ულამაზდეთ მარტო ლექსების აზებს,
ზედ აყოლებდეთ საოცარ ამბებს,
ზღაპრებს, მოთხრობებს, ანდაზის
დრაჯეს,
არ იკარებდეთ ტირილს და ბრაზებს!

მხატვარი
ნანა სანაია

როდის დგება დედამიწაზე ახალი თარიღი?

შალვა საბაშვილი

ყოველი ადამიანის, ქვეყნის თუ მთელი მსოფლიოს ცხოვრებას კალენდარი აწესრიგებს. ყველა მოვლენა თარიღდება. წინასწარაც გეგმავენ: 25 დეკემბერს მოსწავლეთა არდადეგები იწყება; 8 მარტს ქალთა დღეა; 17 აპრილს – საკონტროლო წერა იქნება; 20 მაისს საფეხბურთო მატჩია; 16 დეკემბერს – ჩემი დაბადების დღე... კალენდრის გარეშე ყველაფერი აირეოდა.

მაგრამ როდის დგება დედამიწაზე ესა თუ ის კალენდარული თარიღი?

თითოეული დღე 24 საათს გრძელდება და სინამდვილეში იგი უფრო დღე-ღამეა. მაგრამ როდის იწყება კონკრეტული დღე? ან, როცა რაღაც მოვლენა ხდება, ვთქვათ, დედამიწიდან გაშვებული რაკეტა მთვარეზე ეშვება, ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე თარიღია? თურმე არა!

საერთოდ, დრო ცაზე მზის ხილული მოძრაობით აითვლება. რაც თავი გვახსოვს, ჩვენი დღის მნათობი ყოველ დილით აღმოსავლეთიდან ამოცურდება ჰორიზონტს ზემოთ, ნელ-ნელა იმაღლებს ცაზე, შუადღისით უმაღლეს მდებარეობას აღწევს, მერე გადაიხრება, საღამოს კი ჩადის დასავლეთით და ნელ-ნელა „იძირება“; შუაღამისას მზე ყველაზე დაბლაა, შემდეგ კი აღმასვლას იწყებს, რათა მეორე დილას კვლავ ამოვიდეს. უხსოვარი დროიდან დღე-ღამე საათად დაჰყვეს, დროის აღრიცხვა კი ისე მოაწყვეს, რომ საათი შუადღეზე 12.00-ს უჩვენებს, შუაღამეზე კი 00.00-ს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი კალენდარული თარიღი (მაგალითად, 1 იანვარი) იწყება შუაღამეზე და მომდევნო შუაღამემდე გრძელდება.

მაგრამ დედამიწა ბრტყელი არ არის – ის სფეროსებურია! მაშასადამე, დედამიწის ყოველ წერტილში მზე ერთდროულად ვერ ამოვა! აი, თუნდაც, საქართველოში: მზე ჯერ მის უკიდურეს აღმოსავლეთში (აზერბაიჯანის საზღვართან) ამოდის, მერე უფრო და უფრო დასავლეთით მდებარე პუნქტებში: ყველაზე გვიან მზის ამოსვლა შავიზღვისპირეთში მოხდება – მთელი 27 წუთის დაგვიანებით! თვითონ მზის ამოსვლაც ხომ მყისიერი არ არის: მისი ზედა კიდის გამოჩენიდან მზის სრულ „ამოგორებამდე“ 2 წუთზე მეტი გადის, ასე რომ მთელ საქართველოში მზის ამოსვლა ნახევარ საათს გრძელდება! ცხადია, შუადღეც ანუ მზის უმაღლესი მდებარეობაც სხვადასხვა დროს დადგება – ლონდონში 3 საათით გვიან, ვიდრე თბილისში! მთელ დედამიწაზე კი მზის ამოსვლის პროცესი 24 საათზე გაიჭიმება!

აქედან კი საოცარი რამ გამოდის: რადგან შუაღამე დედამიწის სხვადასხვა დროს დაიწყება, ერთსა და იმავე მომენტში სხვადასხვა პუნქტში სხვადასხვა თარიღია! მაგალითად, თუ 2013 წლის 1 იანვრის ნაშუადღევს, ორის ნახევარზე დედამიწაზე მეტეორიტი ჩამოვარდება, ინგლისელები ამ მოვლენას 2012 წლის 31 დეკემბრის 22 საათითა და 30 წუთით დათარიღებენ!

ახლა ყველაზე საინტერესო კითხვა: სად დგება პირველად ახალი თარიღი? ამას უკვე ჟურნალის მომდევნო ნომერში შეიტყობთ!

სად შეიძლება ნახო ქალაქი სახლების გარეშე, მდინარე - წყლის გარეშე და ტყე - ხეების გარეშე?
(ⴐⴓⴉⴀ)

უმი არ იჭმევა, მოხარშავ და უნდა გადააგდო. რა არის?
(ⴃⴀⴔⴌⴀ)

ႠႾႨႰႤႡႳႪႨ ႩႨႧႾႥႤႡႨ

სკოლიდან სახლში

კესარია top

საყვარელი საქმიანობა

9 სართულიან სახლში ლიფტი მუშაობს. პირველ სართულზე 2 ადამიანი ცხოვრობს, მეორეზე — 3, მესამეზე — 4, მეხუთეზე — 5 და ა. შ. ყველაზე ხშირად ლიფტის რომელ ღილაკს აჭერენ ხელს?

(ქლუცეჰიჯ)

შენია, მაგრამ სხვები უფრო ხშირად იყენებენ.

(იღუძაქ)

ფრთიანი გამონათქვამები



ცხრათვალა მზე — მოკაშკაშე, მეტად მცხუნვარე მზე.

ეკლებზე ჯდომა — მოუსვენრად ყოფნა, მოუთმენლობა.

თავდადებული კაცი — ვინც რისამე ან ვისიმე გულისთვის თავი გაწირა.

მხატვარი
თეა მიქაია

ზღაპარი მზეჭაბუკისა

(ხალხური ზღაპარი)

ხოვრობდა ერთი ღარიბი დედა-შვილი. წამოიზარდა ეს ბავშვი და ისეთი კარგი გახდა, ავი თვალით არ ინახვებოდა. იმათ ქვეყანას სამთავიანი დევი შეეჩვია, ხშირად აოხრებდა. საუკეთესო ვაჟკაცები გაწყვიტა და ბოლოს სოფლის წყაროსაც დაეპატრონა. წამოიზარდა ეს ბიჭი და ერთ დღეს ხედავს, დედამისი მამისეულ აბჯარს ხსნის კედლიდან; ეძალება და ვერა ძრავს.

– ეგ რად გინდა, დედიო, – ჰკითხა ბიჭმა.

– ისე, ვნახო, როგორ დამმშვენდებაო.

– არა, დედაშვილობას, მართალი მითხარიო.

– წვეთი წყალი აღარ გვიდგას, ცომი ვერ მომიზელია, დევმა წყარო დაწყვიტა, წყდება უწყლოდ სოფელიო.

– მომეცი ეგ აბჯარი და მე წავალ წყაროზე! – უთხრა ვაჟმა.

არ უშვებდა დედა – ჯერ პატარა ხარო. მაინც ჩაიცვა ბიჭმა ჯაჭვის პერანგი, გაჰკრა ხელი და გახია. – არა, ეგ არ გამომად-

გებაო. გააკეთებინა მჭედელს ფოლადის აბჯარი. აისხა იარაღი და წავიდა. მივიდა წყაროსთან, ავსებს კოკას. სად იყო, სად არა, წამოვიდა სამთავიანი დევი; ისეთი საზარელი რამ იყო, რომ მიწას გრიალი გაჰქონდა.

– აბა, დამიდექი, რომელი ხარო, – დაუძახა ვაჟს.

– მოვსულვარ და, შენს ჭირადაო, – მიუგო ვაჟმა.

შეიბნენ. მოიქნია დევმა ბიჭი და ძვრა ვერ უყო. ახლა ბიჭმა მოიქნია დევი, სოლივით ჩაასო მიწაში, მოსჭრა სამივე თავი, გაუხსნა სოფელს წყარო. გაუხარდა ხალხს, მანამდის კვერცხის ნაჭუჭებით ინაწილებდნენ წყალს. ყველა ამ ვაჟსა ლოცავდა: სადაც წყალი მოინატრო, წინ დაგიხვდესო!

წამოვიდა ვაჟი, მაგრამ სახლში აღარ გაჩერდა: უნდა ვნახო, ქვეყნიერებაზე რა ამბავია, ვის რა უჭირსო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. ხედავს, ისეა გადატრუსული, აღარც ერთი სულდგმული არ დარჩენილა, მიწა გვალვისაგან ნაპრალებად დამსკდარა.



ძლივს ერთი ბერიკაცი შემოხვდა.

– რამ დაგაღონა, პაპავ?

– ეჰ, შვილო, რაღა რამ დამაღონა, ღრუბელთბატონი ჩვენს ქვეყანას გადაემტერა, რამდენი ხანია, წვიმა თვალით აღარ გვინახავს, მოსავალი გაგვიცდა, ხალხი გაწყდა შიმშილით. ერთი შვილიშვილიღა დამრჩა, ყმაწვილი ქალი და ისიც ახლა ღრუბელთა ბატონმა მომტაცაო.

– მე წავალ ღრუბელთბატონთანო! – უთხრა ვაჟმა.

– ადამიანიშვილი იმას ვერ მოერევა, ისე ჩამოაბნელებს მიდამოს, რომ კაცი ვერ გაიგებს, საიდან მიეპარება, – ამოიოხრა ბერიკაცმა.

არ დაიშალა ბიჭმა, მაშინ მოხუცმა უთხრა:

– თავლაში ერთი კოჭლი ცხენი მიბია, ის მაინც წაიყვანე, გამოგადგებაო.

გამოუყვანა ცხენი, ისეთი გამხდარი იყო, შიმშილით ფერდი ფერდზე ჰქონდა მიკრული. ცხენმა უთხრა ვაჟსა: სამი დღე ჩემს ნებაზე გამიშვი და მერე გამოგადგებიო. გაუშვა ვაჟმა. მესამე დღეს მოვიდა

ეს ცხენი, გასუქებულა, ბალანი უბზინავს. უთხრა ვაჟსა: რაც ძალი და ღონე გაქვს, გადამარტყი ცხრა პირი მათრახიო. ვაჟმა გადაჰკრა და წაიბორძიკა ცხენმა. არა, ჯერ ერთი დღე კიდევ დამკლებიაო. ვაჟმა კიდევ გაუშვა საბალახოდ. მეორე დღეს მობრუნდა ცხენი, იმის შეხედვას არაფერი სჯობს, ძუა-ფაფარზე სულ ვარსკვლავები ასხია.

– ახლა შემაჯექ და წავიდეთ ღრუბელთქალაქშიო.

გაფრინდა რაში, ავარდა ზეცაში. ასცდა ღრუბლებს. ღრუბლებში ერთი მრგვალი კოშკი იდგა, იქ ჩამოსვა ვაჟი. უარა ვაჟმა და კარი ვერსად უნახა, ჰკრა წიხლი და შეამტვრია კედელი. ხედავს, კოშკში ერთი ყმაწვილი ქალი ზის და ტირის.

– აქ რამ მოგიყვანა, – უთხრა ვაჟს, – საცაა ღრუბელთბატონი მოვა ჩემს შესაჭმელად და შენც მოგკლავსო!

– ფიქრი ნუ გაქვს, მეც იმას ვეძებო.

უცბათ ატყდა ჭექა-ქუხილი, წამოვიდა ვაშლისოდენა სეტყვა და ჩამობნელდა.

– მე ოქროს თმები მაქვს მანდილში შეკეცილი და ეგება გაგინათოსო, – უთხრა ქალმა. ჩამოიშალა ნაწნავები და განათდა იქაურობა.

– ახლა აღარა მიჭირს რაო, – თქვა ვაჟმა.

ახლოვდება ღრუბელთბატონი, ცეცხლის ისრებს იტყორცნება და ქუხილით აყრუებს არემარეს. გადაუხტა ვაჟი და შეიბნენ. ჩამოაბნელებს ღრუბელთბატონი და ვაჟს ზურგიდან მოექცევა. მიუნათებს ქალი და ღონე ეძლევა ვაჟს. დიდხანს იბრძოლეს. ბოლოს სძლია ვაჟმა, მოიქნია ღრუბელთბატონი და კოშკს ზედ მიანარცხა – ორივე მტვრად აქცია. აირივნენ ღრუბლები და გაქრა ის ღრუბელთქალაქიც. გამოიხედა მზემ და გაუცინა ვაჟს: ღრუბლები რაკი დაიმორჩილე, დღეიდან შენთვის მზეჭაბუკი მიწოდებიაო.

მოახტა მზეჭაბუკი თავის რაშს, წამოიყვანა ის ოქროსნაწნავებიანი ქალი, დაბრუნდა შინ მშვიდობით და დიდი ქორწილიც გადაიხადა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მხატვარი
ნანა სანაია

„იავნანამ“ რა ჰქმნა

დაურეკეთ ან გააგზავნეთ SMS

0901 30 30 30

იცით თუ არა, რომ...

...ჩვენებაში მილიონზე მეტი სახეობის მწერი არსებობს და მათგან ადამიანს მხოლოდ ორი – ფუტკარი და აბრეშუმის ჭია ემსახურება.

...თითოეულ სკაში ცხოვრობს ფუტკრის თითო ოჯახი, ანუ წალკე საზოგადოება, ამ საზოგადოებას შეადგენს ერთი დედა ფუტკარი, რამდენიმე ათასი (ოცი ათასიდან ასი ათასამდე) მუშა და რამდენიმე ათეული მამალი ფუტკარი.

...1 კგ თაფლის შესაგროვებლად ძლიერი ოჯახიდან გამოსულმა ფუტკარმა ცაცხვის ყვავილზე 25 ათასამდე გაფრენა უნდა გააკეთოს, ხოლო იმ თაფლოვანი მცენარეებიდან, რომლებიც შედარებით მცირე ნექტარს გამოყოფენ — 100-120 ათასამდე გაფრენა სჭირდებათ. ამ დროს ფუტკარმა უნდა გაიფრინოს 200 ათასი კმ და ეწვიოს 19 მილიონ ყვავილს.

ცხოველთა ცხოვრება

ცხოველთა სამეფო იყოფა ტიპებად, ტიპები –კლასებად, რაზმებად, გვარებად და ა.შ. ამ სისტემატიკით თაფლის შემგროვებელი ფუტკარი მიეკუთვნება ფეხსახსრიანთა ტიპს, მწერთა კლასს, სიფრიფანაფრთიანთა ჯგუფს და ფუტკრისნაირთა ოჯახს.

...კვერცხი, რომელიც დედამ ჩადო საკვერცხეში, მის ფსკერზე სამი დღე-ღამე რჩება, მერე იქიდან გამოდის პაწია მატლი. პირველ სამ დღეს მას გარს ეხვევიან ახალგაზრდა გადია ფუტკრები და აჭმევენ რძისმაგვარ სითხეს. მუშა ფუტკრების ვალია, მეშვიდე დღეს თავი გადაუგლისონ და თერთმეტი დღით აკვანში გამოკეტონ პატარები. თერთმეტი დღის შემდეგ პაწია მწერი პარკს თავს დააღწევს და უშნო, ულაზათო მატლისგან ლამაზ ფუტკრად იქცევა.

... დედა ფუტკარს, ნიშნად დიდებისა, დედოფალსაც უწოდებენ და ფუტკართა საზოგადოების მეფედ მიიჩნევენ. როგორც მუშა ფუტკარს, შხამიანი ნესტარი მასაც აქვს, მაგრამ თითქმის არასოდეს იკბინება. ნესტარს მხოლოდ იმ შემთხვევაში იყენებს, თუ თანასწორთან აქვს საქმე, ესე იგი, თუ ბრძოლა ორ დედა ფუტკარს შორის გაჩაღდება.

...მუშა ფუტკარი 35–49 დღეს ცოცხლობს, ხოლო დედა ფუტკარი 5–6 წელიწადს.

...ფუტკრის ძირითადი პროდუქტებია თაფლი, სანთელი, დინდგელი, ყვავილის მტვერი – ჭეო (იგივე ფერფლი, ზრილი, ხრილი) და ფუტკრის რძე, ხოლო რაც შეეხება მეექვსე ნივთიერებას – ფუტკრის შხამს, ის უნიკალური თვისებების წამალია.

...დაიმახსოვრე:
თუ ფუტკარი შენკენ წამოვა და დაგაჯდება, ხელი არ აუქნიო, არ დააფრთხო, თავი მშვიდად და წყნარად გეჭიროს, იცოდე, ფუტკარი არასოდეს გიკბენს, თუ მიზეზი არ მიეცი და არ გააბრაზე. კბენა ძალიან იშვიათად იცის, რადგან თუ ვინმეს უკბინა, თვითონაც უნდა მოკვდეს: ფუტკარი რომ იკბინება, თავის ნესტარს მსხვერპლის სხეულში ტოვებს, უნესტროდ კი მხოლოდ რამდენიმე საათს ცოცხლობს. მაშ, თუ მიზეზს არ მისცემ, არ გიკბენს და თავის სიცოცხლესაც დაზოგავს.

...1861 წელს გერმანიის ქალაქ ერფურტში მეფუტკრეობის საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილი იყო ქართული მთის რუხი ფუტკრის ორი ოჯახი. ამ ოჯახებმა შეაგროვეს 97,3 კგ თაფლი და გაუსწრეს ყველა სხვა ჯიშის ფუტკრებს, რისთვისაც ქართული ფუტკარი დაჯილდოვდა გამოფენის ოქროს მედლით. ასეთივე ოქროს მედალი დაიმსახურა მან 1865 წელს, ქ. ბუქარესტში და 1971 წელს ქ. მოსკოვში გამართულ მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესზე.

...ფუტკარს თავის წონაზე 3-ჯერ მეტი სიმძიმის ტვირთით ფრენა შეუძლია. ფუტკარი 65 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავს. თაფლით დატვირთული 2-ჯერ ნაკლები სიჩქარით.

თავსატეხი

ფიჭის ყველა მუქი ფერის უჯრედის გარშემო ჩანერე ციფრები 1–დან 6–მდე. გაითვალისწინე, რომ ერთნაირი ციფრები ერთმანეთის გვერდით არ უნდა მოხვდეს.



მე-19 გვერდზე მოთავსებული კროსვორდის პასუხები: 1. პორტი, 2. იალქანი, 3. კაპიტანი, 4. ღუზა, 5. კოკი, 6. ჭოგრიტი, 7. შეკობრე, 8. ბოცმანი, 9. იუნგა.

პასუხი კითხვაზე: „ვინ ვარ მე“ - იუნგა.


ძვირფასო მშობლებო!
გინდათ, თქვენმა შვილმა ერთი დღე ზღაპ-
რულ სამყაროში გაატაროს?
მაშინ ენდეთ ჩვენს რჩევას და ეწვიეთ
შვილთან და მის მეგობრებთან ერთად გემ
„კრუიზს“.
CRUISE
CRUISE
HOTEL RESTAURANT

შეავსე კროსვორდი და გაიგე, რა ჰქვია ნახატს ადამიანის სხეულზე: 1. ნავსადგური ანუ... 2. აფრა, იგივე... 3. გემის მეთაური 4. გემი ჩერდება და წყალში ეშვება... 5. მზარეული გემზე 6. დურბინდი, იგივე... 7. ზღვის ყაჩაღი 8. კაპიტნის ხელქვეითი 9. უმცროსი მეზღვაური.

ვინ ვარ მე?

არც ისეთი გამხდარი ვარ, როგორც პაკო და არც ისეთი მსუქანი, როგორც ბილი; არც ისეთი ძლიერი, როგორც ჯეკი და არც ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ნემო.

საბავშვო გამომცემლობა „დილა“ გთავაზობთ

საყმაწვილო ენციკლოპედია

საყმაწვილო ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ბიბლიოთეკა
ზღვაო საწყენოება
ბოთები და ლეგენდები
ქართული ზღაპრული ზღაპარი
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა